

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გლობალური გავრცელების თავისებურებები
ნათია ვეკუა¹, ნანა მეზონია²

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ეპიდემიოლოგიისა და გარემოს მედიცინის სამაგისტრო პროგრამა
¹მაგისტრანტი; ²ხელმძღვანელი, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი (ფჯკ) ავადობის უწყვეტი ზრდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვლინდება, თანაც, მატება ძირითადად შეეხება ქალთა პოპულაციას. კვლევის მიზანს შეადგენდა ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი ავადობის გლობალური და რეგიონული გავრცელების შეფასება.

კვლევის მეთოდი:

განხორციელდა 2000-2018 წლებში PubMed-ის ბაზაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ავადობის შესახებ გამოქვეყნებული სამეცნიერო კვლევების შედეგების მიმოხილვა. გამოყენებული იყო საძიებო სიტყვები: „ფარისებრი ჯირკვლის კიბო“, „პაპილარული კიბო“, „ავადობა“. დამატებით, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის პროექტი „GLOBOCAN“-ის ვებ.გვერდიდან ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ახალი შემთხვევებისა და გარდაცვლილთა რაოდენობის საფუძველზე გამოთვლილი იყო ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებლები 100 000 მოსახლეზე. კვლევაში სულ ჩართული იყო ევროპის 40-მდე, აფრიკის 40-ზე მეტი, აზიის 45-ზე მეტი და ლათინური ამერიკის 30-ზე მეტი ქვეყანა.

კვლევის შედეგები:

ავადობის მატების ტემპი ქვეყნების მიხედვით განსხვავებულია: მეტ წილ ქვეყნებში გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დღემდე ავადობა გაიზარდა 2-ჯერ, თუმცა ზოგიერთ ქვეყანაში - ჩეხეთის რესპუბლიკა, იტალია, აშშ, ისრაელი - 3-ჯერ და მეტად. გლობალურად ფჯკ-ს თანაფარდობა მამაკაცი/ქალი დაახლოებით 1:3,3-ს შეადგენს. ფჯკ-ს ავადობის მატება უმეტესწილად პაპილარული მიკროკარცინომას ჰისტოლოგიური ტიპის ხარჯზე ხდება, რომელიც საუკეთესო პროგნოზით გამოირჩევა. ამასთან, მსოფლიოს რეგიონების მიხედვით ფჯკ-ს ავადობის მაჩვენებლის (100000

მოსახლეზე) ფართო ვარიაცია ვლინდება; ევროპა: 2.11 (ალბანეთი) - 26,7 (კვიპროსი); აზია: 0.15-სა (ტაჯიკეთი) - 88 (სამხრეთ კორეა); აფრიკა: 0.2 (კონგოს რესპუბლიკა) - 5.0; ლათინური ამერიკა: 0.26 (ბელიზი) - 24.0 (პუერტორიკო); ავადობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია კანადასა და აშშ-ში 26.2 და 18.6 შესაბამისად. მსოფლიოში ავადობის ზრდას ადგილი აქვს სიკვდილიანობის არამდგრადი შემცირების ფონზე ორივე სქესისთვის.

დისკუსია:

ექსპერტთა მოსაზრებით, ფარისებრი ჯირკვლის კიბოს გამოვლენის გაუმჯობესება არ უნდა ჩაითვალოს ავადობის ზრდის ერთადერთდ მიზეზად; როდესაც ავადობის მაჩვენებლის მატება გამოვლენის გაუმჯობესების ხარჯზე ხდება, მაშინ მოსალოდნელია, რომ ავადობის მატება ყველა ასაკობრივ და სქესობრივ კატეგორიებში თანაბრად მოხდება. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს შემთხვევაში კი ვლინდება განსხვავებული მატება სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით.

დასკვნები:

ავადობის მატება სავარაუდოდ, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ორ თანაარსებულ პროცესთან: გაზრდილი გამოვლენა და შემთხვევების რეალური ზრდა დღემდე უცნობი თიროიდ-სპეციფიკური გარემოს კარცინოგენების გააქტიურების ხარჯზე. შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს დამატებით ეპიდემიოლოგიურ კვლევებს დღემდე უცნობი რისკის ფაქტორების გამოსავლენად.